

უსაფრთხოების დილემა და გლობალური გამოწვევები

გოგოლიძე ირმა – ასისტენტ პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქუთაისი, საქართველო

Security Dilemma and Global Challenges

Gogolidze Irma – Assistant Professor, Department of Social Sciences, Akaki Tsereteli State University, Kutaisi, Georgia

Abstract

Introduction and aim: One of the central issues in international relations and security issues in the theory and practice, has always been and remains the most important issues in international relations scholars. Security is especially important in the era of globalization, when economization, democratization, informatization creates unprecedented opportunities for development, but at the same time in an international relations system more vulnerable to challenges such as terrorism, weapons of mass destruction to use. Search by state security or defense, as expressed in the attack, the more powerful a cautious attitude towards the position of armed neutrality or imperialism in. This is a circle with a realistic „security dilemma“ the definition given. The aim of the research topic: analyzing global challenges, which pose a serious threat to international security.

Research methodology: The survey used a common research methods in international relations, namely: theoretical, historical, sociological analytical material grades; Situation analysis, factual and documentary material analyzed.

Results and implications: The main challenges relate to the safety of the public and political organizations, systems for the global crisis. Weakening the role of the States; Media goes beyond national boundaries; Communities are created on the basis of ethnic and religious identification, which creates separatism, religious extremism and ethnic threats. Such societies often associated with terrorism, they are connected to a local wars and regional armed conflicts threatening.

Conclusion: Interdependent processes erases the boundary between foreign and domestic policy of the state and public interests. The domestic and foreign policies more closely related to each other and to changes in the security field. regional integration movements, non-governmental actors propagation, the increasing role of the international regime, the impact shook the extent that these phenomena coincided with the ethnic conflicts in many countries. Governments no longer have the opportunity to fully determine the internal policy and diplomatic-strategic orientations. Clearly, the global challenges of a serious threat to world order, they can do harm to the civilized world, the national and international security.

Keywords: interdependence theory, terrorism, conflicts, safety

მესავალი და მიზანი: უსაფრთხოება განსაკუთრებით აქტუალურია გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია, ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველად ისეთი გამოწვევებისათვის როგორცაა ტერორიზმი, მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. სახელმწიფოების მიერ უსაფრთხოების მიება გამოიხატება თავდაცვასა ან შეტევაში, უფრო ძლიერების მიმართ დამოკიდებულების ფრთხილ პოზიციაში, შეიარაღებულ ნეიტრალიტეტში ან იმპერიალიზმში. ეს არის წრე, რომელსაც რეალისტები „უსაფრთხოების დილემის“ დეფინიციას აძლევენ. საკვლევი თემის მიზანს წარმოადგენს: გაანალიზოს გლობალური გამოწვევები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო უსაფრთხოებას.

კვლევის მეთოდოლოგია: კვლევის დროს გამოვიყენეთ თეორიული, ისტორიული, სოციოლოგიური მასალის ანალიტიკური შეფასება; სიტუაციის ანალიზი, ფაქტობრივი და დოკუმენტური მასალის შესწავლა-ანალიზი.

შედეგები და გამოყენება: უსაფრთხოების ძირითადი გამოწვევები დაკავშირებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციების სისტემების გლობალურ კრიზისთან. სახელმწიფოთა როლი სუსტდება; მას-მედია უკვე სცდება სახელმწიფოებრივ საზღვრებს; იქმნება საზოგადოებები ეთნიკური და რელიგიური იდენტიფიკაციის ნიადაგზე, რაც ქმნის სეპარატიზმის, რელიგიური და ეთნიკური ექსტრემიზმის საფრთხეებს. ხშირად ასეთი საზოგადოებები ასოცირდებიან ტერორიზმთან, მათ უკავშირდება ლოკალური ომების მუქარა და რეგიონული შეიარაღებული კონფლიქტები.

დასკვნა: ურთიერთდამოკიდებულების პროცესები შლის საზღვარს საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იწვევს ცვლილებებს უსაფრთხოების სფეროშიც. ნაციონალური საზღვრების შეღწევადობამ, რეგიონული ინტეგრაციის მოძრაობებმა, არასამთავრობო აქტორთა გამრავლებამ, საერთაშორისო რეჟიმების მზარდმა როლმა, სახელმწიფოთა გავლენა შეარყია იმგვარად, რომ ეს ფენომენები ეთნიკურ კონფლიქტებს დაემთხვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მთავრობებს აღარ აქვთ შიდა პოლიტიკისა და დიპლომატიურ-სტრატეგიული ორიენტაციების სრულად განსაზღვრის შესაძლებლობა. ცხადია, გლობალური გამოწვევები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგს, მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ცივილიზებულ სამყაროს, ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფრთხოებას.

საკვანძო სიტყვები: ურთიერთდამოკიდებულების თეორია, ტერორიზმი, კონფლიქტები, უსაფრთხოება

უსაფრთხოების უზრუნველყოფა ნებისმიერი დამოუკიდებელი სახელმწიფოს უპირველეს მიზანს წარმოადგენს. უსაფრთხოებას და მოსალოდნელი საფრთხეებისაგან დაცვას, პოლიტიკური ფილოსოფოსი თომას ჰობსი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ ხელისუფლების არსებობის გამამართლებელ უმთავრეს მიზეზად განიხილავდა. თვით არისტოტელე პოლიტიკის სხვა უმთავრეს მიზნებს შორის ყველაზე მაღლა სიცოცხლის ხელყოფისაგან დაცვას აღიარებდა [1. 5]. დღესაც უსაფრთხოების თემა ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია საერთაშორისო ურთიერთობების თეორიასა და პრაქტიკაში, ყოველთვის იყო და რჩება უმნიშვნელოვანეს თემად საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევართათვის. ტერმინს „ეროვნული უსაფრთხოება“ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ამერიკულ პოლიტიკაში ყველაზე ხშირად იყენებდნენ, ხოლო 90-იანი წლების დასაწყისში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, რეგიონული და ადგილობრივი კონფლიქტების ზრდამ, მასობრივი განადგურების იარაღის (ატომური, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღი) ზრდასთან ერთად, ჰორიზონტზე ახალი საფრთხეების გამოჩენაც განაპირობა. განსაკუთრებით აქტუალურია უსაფრთხოება გლობალიზაციის ეპოქაში, როცა ეკონომიზაცია, დემოკრატიზაცია და ინფორმატიზაცია ქმნის განვითარებისათვის უპრეცედენტო შესაძლებლობებს, მაგრამ ამავე დროს აქცევს საერთაშორისო ურთიერთობების სისტემას უფრო დაუცველად ისეთი გამოწვევებისათვის როგორცაა ტერორიზმი და მასობრივი განადგურების იარაღის გამოყენება. უსაფრთხოების თემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ეროვნულ ინტერესებთან, რადგანაც „ეროვნული ინტერესების“ დაცვის ლოზუნგით სახელმწიფოებს შეუძლიათ საკუთარი საზღვრების გამაგრება უცხო ქვეყნის წინააღმდეგ, მეზობლებთან თანამშრომლობის გაძლიერება ან პირიქით, შეუძლიათ სცადონ მათი დამარცხება დამპყრობლურ ომში. სახელმწიფოების მიერ უსაფრთხოების ძიება გამოიხატება თავდაცვასა ან შეტევაში, შეიარაღების შექმნაში, უფრო ძლიერების მიმართ დამოკიდებულების ფრთხილ პოზიციაში, შეიარაღებულ ნეიტრალიტეტში ან იმპერიალიზმში. უსაფრთხოების გაზრდის მცდელობით სახელმწიფოები ზრდიან საფრთხისა და საპასუხო სამხედრო დარტყმის რისკს. შეიძლება ითქვას: ეს არის მოკადოებელი წრე, რომელსაც რეალისტები¹ „უსაფრთხოების დილემის“ დეფინიციას აძლევენ [2. 33]. საკვლევი თემის მიზანს წარმოადგენს: გაანალიზოს გლობალური გამოწვევები, რომლებიც სერიოზულ საფრთხეს უქმნიან საერთაშორისო უსაფრთხოებას. საერთაშორისო ურთიერთობების მკვლევარები გლობალურ გამოწვევებს 4 ჯგუფად ყოფენ:

1. ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემის აქტორებში და დამოკიდებულება ახალ აქტორებთან. გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთა როლი სუსტდება. ეს ეხება სახელმწიფოებს, რომლებსაც „იმპორტირებულ სახელმწიფოებს“ უწოდებენ,

¹XX საუკუნის მეორე ნახევრიდან საერთაშორისო ურთიერთობების კვლევა რეალიზმის სკოლის გავლენით აღინიშნა. იგი ეფუძნება ჰიპოთეზას, რომლის თანახმად, საერთაშორისო ურთიერთობები პირველ რიგში, სახელმწიფოთაშორის ურთიერთობებს გამოხატავს, რომლებიც აღიქმება, როგორც საკუთარი ინტერესების დაცვაზე მიმართული დამოუკიდებელი, რაციონალური აქტორები. არ ექვემდებარებიან რა, არავითარ უმაღლეს ინსტანციას, თავისუფალნი არიან ძალის გამოყენებაში საკუთარი ამბიციების დასაკმაყოფილებლად ან სხვების ამბიციებისაგან თავდასაცავად. ამიტომაც, კვლევა ძირითადად მიმართულია უსაფრთხოების საკითხებზე, კონფლიქტების რისკებზე ან არსებულ კონფლიქტებზე (იხ. „პიერ დე სენარკლენი, იოან არიფენი, საერთაშორისო პოლიტიკა, თბ., 2014“).

მაგ: ავღანეთი, სომალი...[3. 335]. მას-მედია უკვე სცდება სახელმწიფოებრივ საზღვრებს; იქმნება საზოგადოებები ეთნიკური და რელიგიური იდენტიფიკაციის ნიადაგზე, რაც ქმნის სეპარატიზმის, რელიგიური და ეთნიკური ექსტრემიზმის საფრთხეებს. ხშირად ასეთი საზოგადოებები ასოცირდებიან ტერორიზმთან, მათ უკავშირდება ლოკალური ომების მუქარა და რეგიონული შეიარაღებული კონფლიქტები.

2. ეკონომიკური განხეთქილების და სოციალური განცალკევებულობის ზრდა სახელმწიფოებს, სოციალურ ჯგუფებსა და ხალხებს შორის: ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ახალი ბაზრების დაპყრობამ მსოფლიოს ბევრ რეგიონში განაპირობა მრეწველობის მრავალი დარგის განადგურება, უმუშევრობის ზრდა და შესაბამისად, მდიდრებსა და ღარიბებს შორის უფსკრულის გაჩენა. ამ პროცესებმა ხელი შეუწყო ღარიბი ქვეყნებიდან შედარებით მდიდარ ქვეყნებში მოსახლეობის მიგრაციის ზრდას.

3. სამეცნიერო-ტექნოლოგიური რევოლუციის შედეგები; გლობალური ქსელი - ინტერნეტი, რომელიც ინფორმაციის გავრცელების ძირითადი წყაროა.

4. რესურსების დეფიციტი ჭარბი მოსახლეობის პირობებში [3. 337].

როგორც უკვე აღვნიშნეთ გლობალური გამოწვევების პირველი ჯგუფი მჭიდროდ უკავშირდება ტერორიზმს და რეგიონულ შეიარაღებულ კონფლიქტებს.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიოს ბევრ კუთხეში ტერორიზმის პრობლემა მწვავედ დგას. ტერორიზმა განსაკუთრებული გასაქანი განვითარებად ქვეყნებში ჰპოვა, განსაკუთრებით აზიისა და აფრიკის კონტინენტებზე, მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ ისრაელი, სადაც თვითმკვლელების მიერ მოწყობილი აფეთქებები მოსახლეობას მუდმივ საფრთხეს უქმნის და ალჟირი², სადაც მთავრობას ხშირად უხდება თავდასხმებთან გამკლავება. მდგომარეობა ასევე რთულია სპარსეთის ყურის ქვეყნებშიც. შეიძლება ითქვას, რომ ჩრდილოეთ აფრიკიდან სპარსეთის ყურემდე მდებარე ყველა ისლამური ქვეყანა ტერორიზმის ხშირი მსხვერპლია [4. 517]. თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობებში ტერორიზმის პრობლემა იმდენად აქტუალურია, რომ მისი შედეგების იგნორირება შეუძლებელია. ტერორიზმის განმარტებები მრავალცრიცხოვანია, თუმცა თითქმის ყველა მათგანი ითვალისწინებს რამდენიმე ფაქტორს: ძალადობა, მოხდარი ფაქტის გახმაურების სურვილი, პოლიტიკური მოტივი და მოსახლეობის გამიზნული დაშინება. ცხადია, რთულია ტერორიზმის ცნების ზუსტი განსაზღვრა იმ სტრატეგიული ორიენტაციების პოლისემიური ხასიათის გამო, რომელსაც ის მოიცავს [2. 71]. არსებობს ტერორიზმის რამდენიმე ფორმა: სახელმწიფო ტერორიზმი - როცა ხელისუფლება მისივე ქვეყნის მოქალაქეებზე ახორციელებს ტერორისტულ აქტებს; საერთაშორისო ტერორიზმი - როცა რომელიმე ქვეყნის ხელისუფლება შეიფარებს საერთაშორისო ტერორისტებს (როგორც ავღანეთის თალიბების მთავრობა მოიქცა ოსამა ბინ ლადენთან და ორგანიზაცია ალ-ქაიდასთან მიმართებაში), აფინანსებს საერთაშორისო ტერორისტულ ოპერაციებს, ან რაიმე სხვა გზით უჭერს მხარს ტერორიზმს, რომელიც მის საზღვრებს გარეთ ხორციელდება; საშინაო ტერორიზმი - ერთი ქვეყნის ფარგლებში ხორციელდება ტერორისტების მიერ, რომლებსაც მთავრობასთან არავითარი კავშირი არ აქვს; ტრანსნაციონალური ტერორიზმი - როცა სხვადასხვა ქვეყნის ტერორისტული დაჯგუფებები, რომელთაც არც ერთი მთავრობა არ აფინანსებს, ერთმანეთთან იწყებენ თანამშრომლობას, ან ასეთი დაჯგუფებების ტერორისტული ოპერაციები ერთი სახელმწიფოს საზღვრებს სცილდება [4. 519]. თანამედროვე ტერორიზმის გლობალურმა ხასიათმა ტერორიზმის საშინაო და საერთაშორისო ფორმებს შორის არსებული საზღვარი კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა. შესაძლებელი გახდა ტერორისტული აქტების, რომლებიც არ არის რომელიმე მთავრობის მიერ დაფინანსებული ან განხორციელებული, ანტისახელმწიფოებრივ ტერორიზმში გაერთიანება. ანტისახელმწიფოებრივი ტერორიზმი ორ სახეობად იყოფა: 1. დაჯგუფებები, რომლებიც საკუთარ

² 1994-1998 წლებში ალჟირელმა ისლამისტებმა უამრავი თავდასხმები განახორციელეს, ძალადობამ სისასტიკის უკიდურეს დონეს მიაღწია მასობრივ სასაკლაოთა სერიებში, რომლებიც 1996 წლის ბოლოს დაიწყო. 1996-1999 წლებში ალჟირში 67 მასობრივი მკვლელობა განხორციელდა (იხ. თომას მაგდშტადტი, როგორ გავიგოთ პოლიტიკა, თბ., 2010, გვ. 530).

სამშობლოზე პოლიტიკური კონტროლის დაბრუნებას ცდილობენ, ახორციელებენ ნაციონალისტურ-სეპარატისტულ ტერორიზმს, მაგალითად: ბასკები ესპანეთში, თამილები შრი-ლანკაზე, სიქები ინდოეთში, ჩეჩნები რუსეთში. 2. დაჯგუფებები, რომლებიც საზოგადოების დესტაბილიზაციას რაიმე აბსტრაქტული რწმენის საფუძველზე ცდილობენ, ახორციელებენ იდეოლოგიურ ტერორიზმს. იდეოლოგია შეიძლება მარქსიზმის ან ისლამის რომელიმე განშტოებას წარმოადგენდეს, ან შთაგონებად ფაშიზმი ან ანარქიზმი ედოს. მაგალითად: „წითელი არმიის ფრაქცია“ გერმანიაში, „წითელი ბრიგადები“ იტალიაში, „ნათელი ბილიკი“ პერუში, „ისლამური ჯიჰადი“ ეგვიპტეში, ოსამა ბინ-ლადენის „ალ-ქაიდა“ და რამდენიმე უკიდურესი მემარჯვენე დაჯგუფება შეერთებულ შტატებში [4. 521]. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტერორიზმი შესაძლოა ერთდროულად ნაციონალისტურ-სეპარატისტულიც იყოს და იდეოლოგიურიც. ამის დადასტურებას წარმოადგენს ჰამასი³ - ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობა. ჰამასი ერთდროულად ნაციონალისტურ-სეპარატისტული მოძრაობაა, მიზნად ისახავს რა ისრაელის განადგურებას და რადიკალური ისლამური ქვეყნის შექმნას და იდეოლოგიურია, ეყრდნობა რა ისლამური ფუნდამენტალიზმის ერთ-ერთ განშტოებას და მოუწოდებს ექსტრემიზმისა და ჯიჰადისაკენ. ტიპოლოგიის მიხედვით არსებობს: პოლიტიკური ტერორიზმი; რელიგიური ექსტრემისტული ტერორიზმი; რელიგიური ფუნდამენტალისტური ტერორიზმი; კიბერტერორიზმი; ბირთვული ტერორიზმი და სხვა.

თომას მაგდშტადტი წიგნში „გავიგოთ პოლიტიკა“ ტერორიზმის წარმოშობას უკავშირებს რელიგიას, სახელდობრ, სამ საიდუმლოებით მოცულ რელიგიურ სექტას: თუგების, ზელოტების და ასასინების. *თუგები* - ერთ-ერთი ინდუსტური სექტის წარმომადგენლები, საუკუნეების მანძილზე, მათ, რელიგიური მოსაზრებების საფუძველზე, ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს, სექტა საბოლოოდ XIX საუკუნეში დაიშალა; *ზელოტები*⁴ - ებრაელთა ექსტრემისტული დაჯგუფების წევრები, ძვ. წ. 66-73 წლებში ხოცავდნენ განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მქონე ადამიანებს და ცდილობდნენ რომის წინააღმდეგ აჯანყების დაწყებას; *ასასინები* - შიიტური ისლამური სექტის წარმომადგენლები, ისლამის „განწმენდის“ მიზნით, მათ სხვა სარწმუნოებების აღმსარებელი უამრავი ადამიანის სიცოცხლე შეიწირეს XI საუკუნის დასაწყისში. გვიან შუა საუკუნეებშიც და რეფორმაციის პერიოდშიც წარმოიშვა სისხლისმღვრელი ქრისტიანული სექტები [4. 522]. ცხადია, ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ რელიგიურ მოტივს ნაკლებად უკავშირდება რევოლუციური ტერორიზმი, რაზეც მეტყველებს საფრანგეთის რევოლუციის ლიდერებისა და მეცხრამეტე საუკუნის რუსი ანარქისტების ნაშრომები და საქმიანობა. დღეისათვის კავშირი ტერორიზმსა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმს შორის არსებობს: ეს არის ისლამური ექსტრემიზმი. ექსტრემისტთა ხელში ისლამი არის არა პირადი რწმენა, არამედ მმართველობის მთელი სისტემა და ისლამს აღიქვამენ არა საუკეთესო რელიგიად, არამედ საუკეთესო იდეოლოგიად, შესაბამისად ტერორიზმი და ფანატიზმი ერთმანეთთან მჭიდროდაა ასოცირებული. ახლო აღმოსავლეთში გვხვდება რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებული უამრავი ტერორისტული დაჯგუფებები: აბუ ნიდალის ორგანიზაცია, ალ-ქაიდა, ისლამური ჯიჰადი, ჰეზბოლა (ღვთის პარტია), ჰამასი. ტერორისტული დაჯგუფებები ეთნიკურად და პოლიტიკურად ჰომოგენურია და შესაბამისად, რთულია ამ

³ ჰამასი-ი არაბ. ალ-ჰარაქა ალ-მუკავამა ალ-არაბია-ს აბრევიატურაა და ნიშნავს „ისლამური წინააღმდეგობის მოძრაობას“. თავისი არსებობის შესახებ მან განაცხადა დეკლარაციით, რომელიც ღაზის სექტორსა და დასავლეთ ნაპირზე გავრცელდა 1987 წლის 12-14 დეკემბერს. მისი დამაარსებელი გახდა შეიხი აჰმედ იასინი - კაიროს აინ შამსის უნივერსიტეტის კუსდამთავრებული და ღაზისი მუსლიმური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციის „მუსლიმი ძმების“ ხელმძღვანელი. ჰამასი ისრაელის შეურთგებელი მტერია და მოითხოვს ბრძოლას გამარჯვებამდე და სიონისტებისაგან პალესტინის სრულ განთავისუფლებას, მიუღ პალესტინაში ისლამური სახელმწიფოს შექმნას და ამ მხრივ უპირისპირდება პგო-ს (პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაცია), რომლის მიზანაც სეკულარული სახელმწიფოს შექმნაა (იხ. თ. ჯაფარიძე, სამშვიდობო პროცესი ახლო აღმოსავლეთში, ქართული დიპლომატია, წელიწადი, ტ.7, თბ., 2000).

⁴ თომას მაგდშტადტი, გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, თბ., 2010.

⁵ ზელოტები (მოშურნენი) - ღვთისა და რჯულის მგზნებარე მიმდევრები, თავიანთ რჯულს ტერორისტული საქმიანობითაც იცავდნენ, რომელიც ძირითადად რომაელთა წინააღმდეგ იყო მიმართული. ეს უკანასკნელნი მათ „სიკარებს“ უწოდებდნენ, რადგან ისინი ტანსაცმელში დამალულ ხანჯალს „სიკა“ ატარებდნენ. მათი მხრიდან რომის ბატონობის მიუღებლობამ იუდეველთა ომს (66-74 წწ) დაუდო დასაბამი, რასაც შედეგად მოჰყვა იერუსალიმის ტაძრის დანგრევა და თვით პარტიის განადგურება: წევრებმა ალყაშემორტყმული მასადას (73წ.) დაცვის შემდეგ რომაელთა ხელში ჩაგვყნას მასობრივი თვითმკვლელობა არჩიეს (დაწვ. იხ. ქრისტიანობის ლექსიკონი, პიერო პეტროზილო, თბ., 2011. გვ. 434).

ტერორისტულ ქსელებში შედწევა და კონტროლი. 2001 წლის დეკემბერში, ბინ ლადენის ვიდეოჩანაწერის გავრცელების შემდეგ, მსოფლიომ შეიტყო, რომ ალ-ქაიდა მოქმედებს „იცოდე რაც საჭიროა“-ს პრინციპით, მკაცრად იცავს და ანაწევრებს ინფორმაციას ორგანიზაციის შიგნით იერარქიებს შორისაც, რაც ძალიან წააგავს ოფიციალური სადაზვერვო სამსახურების პრაქტიკას. ისლამურ ფუნდამენტალიზმზე და ტერორიზმზე საუბრისას აუცილებლად უნდა შევეხოთ ვაჰაბიზმს, რომელსაც სპეციალისტები ისლამის უკიდურესად პოლიტიზირებულ, მილიტარისტულ ფენომენად მოიხსენიებენ. ვაჰაბიზმი წარმატებით ითავსებს ტერორისტულ საქმიანობას, რის გამოც მთავარი კატალიზატორის როლს თამაშობს იმ ტრაგიკულ მოვლენებში, რაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ვითარდება ჩრდილოეთ კავკასიაში და რის გამოც უცხოელი ექსპერტები ამ რეგიონს „მსოფლიოს ახალი წესრიგის უწესრიგობას“ უწოდებენ [5. 23]. ნიშანდობლივია, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში ისლამის რადიკალიზაცია რუსეთის პოლიტიკას უკავშირდება.

აზრთა სხვადასხვაობაა თანამედროვე ტერორიზმის წარმოშობასთან დაკავშირებით: ექსპერტთა ერთი ნაწილი მიიჩნევს, რომ მას საფუძველი XX საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ჩაეყარა, ნაწილი კი კონკრეტულად 1968 წელს ასახლებს. 1960 წლების ბოლოს მოხდა: რასისტული დაპირისპირებები შეერთებულ შტატებში, არაბეთსა და ისრაელს შორის ექვსდღიანი ომი (1967წ.). ცხადია, 1968 წელს განხორციელებულმა მოვლენებმა ნაწილობრივ განაპირობა დღევანდელი ტერორიზმი:

1. სამმა პალესტინელმა ტერორისტმა ისრაელის სამგზავრო თვითმფრინავი გაიტაცა და მის ეკიპაჟს ალჟირში ჩაფრენა აიძულა. ეს იყო საჭაერო მეკობრეობის ერთ-ერთი პირველი შემთხვევა.

2. დასავლეთ გერმანიაში ბაადერ-მაინჰოფის ბანდის წევრებმა პირველი ტერორისტული აქტი განახორციელეს - დაწვეს მაღაზია ფრანკფურტში.

3. იასირ არაფატი, ისრაელის წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის მხარდამჭერი, პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ლიდერი გახდა.

4. მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობამ შეერთებულ შტატებში განაპირობა შიდა ტერორისტული დაჯგუფებების წარმოქმნა: „შავი პანტერები“, „უეზერმენი“.

ტერორიზმისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა ისტორიულმა ფაქტორებმაც განაპირობა:

1. ატომურ ეპოქაში სამხედრო დაპირისპირებებისა და კონფლიქტების გლობალური საშიშროება გაიზარდა. ამიტომ ქვეყნები, რომელთა ინტერესებიც გარკვეულ ტერორისტულ დაჯგუფებათა მიზნებს ემთხვევა, ზოგჯერ ამ დაჯგუფებებს მორალური, ფინანსური ან სამხედრო მხარდაჭერით უზრუნველყოფენ. ამგვარად, ტერორიზმი ქვეყნებს შორის შეიარაღებული კონფლიქტის დამხმარე საშუალებად იქცა.

2. ევროპული კოლონიალიზმის დასრულებამ მრავალ ახლადშექმნილ ქვეყანას მოსაგვარებლად დაუტოვა ტერიტორიული, ნაციონალური და რელიგიური კონფლიქტი. შედეგად, ამ ქვეყნებში გაჩაღდა ტერორისტული ქმედებებით გაჯერებული ომების სერია.

3. ადამიანის უფლებებისა და სიცოცხლის მიმართ დემოკრატიული საზოგადოებების პატივისცემამ გამოიწვია მასმედიაში ტერორიზმისადმი განსაკუთრებული ყურადღება. 1960-იანი წლებიდან ასეთი ინციდენტები ფართოდაა გახმაურებული, რაც ტერორისტებისათვის ხელსაყრელი რეკლამა აღმოჩნდა [4. 522].

როგორც ვხედავთ, ტერორიზმი XX საუკუნის 60-იანი წლების შემდეგ უფრო განვითარდა და დღემდე რეალურ საფრთხეს წარმოადგენს. 90-იანი წლებიდან დღემდე განხორციელებული ტერაქტების ქრონოლოგია ასეთია:

1995 წელი - ტოკიო, დაიღუპა 12, დაშავდა 1000 ადამიანი.

1995 წელი-ქალაქი ოკლაჰომა, დაიღუპა 168 ადამიანი.

1998 წელი- კენია და ტანზანია, დაუღუპა 257 ადამიანი.

1998 წელი- ომა, ჩრდილოეთ ირლანდია, დაიღუპა 29 ადამიანი.

2000 წელი- იემენი, დაიღუპა 17 ადამიანი.

2001 წელი- ნიუ-იორკი, ვაშინგტონი, დაიღუპა 3000 ადამიანი.

2002 წელი- ინდონეზია, დაილუპა 202, დაშავდა 209 ადამიანი.

2003 წელი- მაროკო, დაილუპა 33, დაშავდა 100 ადამიანი.

2004 წელი- ესპანეთი, მადრიდის რკინიგზა, დაილუპა 191, დაშავდა 1500 ადამიანი.

2004 წელი- რუსეთი, ბესლანის სკოლა, 1100 მძევალი, დაილუპა 385, ათასი დაშავდა.

2005 წელი- გაერთიანებული სამეფო, ლონდონის მეტრო, დაილუპა 56, დაშავდა 700 ადამიანი.

2005 წელი- იორდანია, 3 სასტუმრო, დაილუპა 59, დაშავდა 150 ადამიანი.

2006 წელი- ინდოეთი, დაილუპა 200 ადამიანი.

2007 წელი-პაკისტანი, დაილუპა 139, დაშავდა 450 ადამიანი.

2008 წელი- ინდოეთი, მუმბაი, დაილუპა 172 ადამიანი.

2010 წელი- რუსეთი, აფეთქება მეტროში, დაილუპა 40, დაშავდა 100 ადამიანი.

2011 წელი- ნორვეგია, ოსლო, დაილუპა 80 ადამიანი.

2013 წელი- ისლამისტების გაერთიანებული მოძრაობა.

2015 წელი- საფრანგეთი, პარიზი; დანია, კოპენჰაგენი [6. 6-7].

2015 წელი - თურქეთი, ანკარა, დაილუპა 95, დაშავდა 245 ადამიანი.

2001 წლამდე ტერორიზმი აქტუალური პრობლემა იყო დასავლეთ ევროპის, სამხრეთ ამერიკისა და აზიის ქვეყნებისათვის. რაოდენ საკვირველიც არ უნდა იყოს, ტერორიზმი 1990 წლების ბოლოს ახლო აღმოსავლეთში ბევრად იშვიათი მოვლენა იყო, ვიდრე მსოფლიოს სხვა რეგიონებში, ჩრდილოეთ ამერიკის გარდა. დღეისათვის კი ახლო აღმოსავლეთის რეგიონი წარმოადგენს საერთაშორისო ტერორიზმის მთავარ მასაზრდოებელ წყაროს. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ იგი ამერიკის შეერთებული შტატებისათვისაც უპირველეს საფრთხედ იქცა. ცხადია, ტერორისტული აქტები - უდანაშაულო ადამიანების მიმართ ჩადენილი ყველა სხვა სახის ძალადობის აქტების მსგავსად - დანაშაულებრივ ქმედებებს განეკუთვნება, მაგრამ ტერორიზმი პოლიტიკური მიზნებით არის მოტივირებული და მას ხშირად „სახელმწიფო სპონსორები“ ჰყავს საზღვარგარეთ. მაგალითად ამერიკის მიმართ განხორციელებული ტერაქტების შემთხვევაში ეს ქვეყნები იყო: ავღანეთი, ერაყი, ირანი, ჩრდილოეთ კორეა. 2001 წლის 11 სექტემბრის ტერაქტის ორგანიზატორებმა სტრატეგიულ მიზანს მოაღწიეს: ისლამური ფუნდამენტალისტური მოძრაობა გადაიქცა გლობალური მასშტაბის მოვლენად, ხოლო მისი თანმხლები ტერორიზმი - გლობალურ მოთამაშედ. ტერორისტებმა ასევე გადაჭრეს ფუნდამენტალისტებისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი სტრატეგიული ამოცანაც: ჩააბეს გარეშე ძალები (აშშ და ერაყის ოკუპაციაში მონაწილე ქვეყნები) შიდა-ისლამურ სისტემურ კრიზისში, გადააქციეს ისინი ამ კრიზისის თანმხლები მოვლენების აქტიურ მონაწილეებად [7. 87]. ტერორიზმის ამ ტალღას საერთაშორისო და ნაციონალური შედეგები მოჰყვა. ჯორჯ ბუშის „ტერორიზმთან ომის“ ეგიდით ამერიკამ უკიდურესად შემტევი და გარკვეული თვალსაზრისით ცალმხრივი საგარეო პოლიტიკური კურსი აირჩია. ამის მაგალითებია თალიბანის რეჟიმის დამხობა ავღანეთში და ომი სადამ ჰუსეინის წინააღმდეგ ერაყში. ამერიკის საგარეო პოლიტიკა ტერორიზმს განიხილავს როგორც პოლიტიკურ ფენომენს, ევროპისა და ნატოს წევრი რამდენიმე ქვეყანა, ტერორიზმს საზოგადოებრივ პრობლემად მიიჩნევენ, თუმცა არ არიან ტერორისტთა დასჯის წინააღმდეგნი და თვლიან, რომ ტერორიზმი გაქრება მხოლოდ მაშინ, როცა უსამართლობის, სასოწარკვეთის, უიმედობის მიზეზები აღმოიფხვრება [4. 532]. რაც შეეხება არაბულ სამყაროს: ისლამური ფუნდამენტალიზმი ანათემაა ეგვიპტისათვის, ალჟირისათვის, იორდანისათვის, აღიარებულია სუდანში; საუდის არაბეთის მდგომარეობა ამბივალენტურია: უფრთხის ისლამურ ფუნდამენტალიზმს და ამავდროულად ამყობს თავისი როლით, როგორც ისლამის დაბადების ადგილი და რწმენის დამცველი; პალესტინაში დიდია კეთილგანწყობა ჰამასისა და ჰეზბოლას მიმართ. ტერორიზმზე საუბრისას შეუძლებელია არ შევეხოთ „ისლამურ სახელმწიფოს“, რომელიც დღეს სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს. „ისლამური სახელმწიფოს“ წინამორბედაა 1999 წელს შექმნილი ტერორისტული დაჯგუფება „ჯამა'ათ ალ-თაუჰიდ ვალ-ჯიჰად“, რომლის დამფუძნებელიც იყო „ისლამური სახელმწიფოს“ ამჟამინდელი ლიდერი აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი, რომელიც „ალ-ქაიდას“ ექვემდებარებოდა. 2006 წელს ჯგუფი შეუერთდა ამბოხებულ სუნიტურ ჯგუფებს „მუჯაჰედთა შურას“ (საბჭოს) ჩამოსაყალიბებლად, რომელმაც

უკვე 2006 წლის ოქტომბერში გამოცხადა „ერაყის ისლამური სახელმწიფოს“ შექმნა, ერთ-ერთი წინამძღოლი ალ-ბაღდადი გახდა, ხოლო 2010 წლიდან იგი „სახელმწიფოს“ ერთპიროვნული ლიდერია [8. 4]. 2011 წლის მარტში სირიაში სამოქალაქო ომის გაჩაღების შემდეგ, ალ-ბაღდადიმ საკუთარი მებრძოლები გაგზავნა, რომლებსაც შეუერთდნენ სირიელი რადიკალი ისლამისტები და შექმნეს „ალ-ნუსრას“ ფრონტი. 2013 წლის აპრილში „ერაყის ისლამური სახელმწიფო“ და სირიაში მოქმედი „ალ-ნუსრას“ ფრონტი გაერთიანდა და მიიღო „ერაყისა და სირიის ისლამური სახალიფო“-ს სახელწოდება. 2014 წლის 29 ივნისს ჯგუფმა საკუთარი თავი გამოაცხადა მსოფლიო სახალიფოდ, ოფიციალურ სახელწოდებად - „ისლამური სახელმწიფო“, აბუ ბაქრ ალ-ბაღდადი კი ხალიფა გახდა. ისლამურ სახელმწიფოს მალე გამოუჩნდნენ მხარდამჭერები: 2015 წლის ივნისისათვის ოფიციალური განმტოვებები არსებობდა ლიბიაში, ეგვიპტეში, საუდის არაბეთში, იემენში, ალჟირში, ავღანეთში, პაკისტანში, ნიგერისა და ჩრდილოეთ კავკასიაში. ისლამური სახელმწიფოს წევრები არიან მაროკოში, ლიბანში, იორდანიაში, თურქეთში, ისრაელსა და პალესტინაში, მაგრამ აქ არ არსებობს ოფიციალური განმტოვებები. ფაქტობრივად „ისლამური სახელმწიფოს“ შექმნით ალ-ბაღდადიმ, ერთი მხრივ, ხაზი გაუსვა, რომ საერთაშორისო ჯიჰადიზმს ახალი ცენტრი და ხელმძღვანელობა ჰყავდა და, მეორე მხრივ, გააერთიანა ორი კონფლიქტი: სამოქალაქო ომი სირიაში და დე ფაქტო სამოქალაქო ომი ერაყში [8. 5]. დაფიქსირდა ისლამური სახელმწიფოს ამბიციაც: ახლო აღმოსავლეთში ახალი პოლიტიკური წესრიგის შექმნის მიზანი, ასევე საერთაშორისო ჯიჰადისტურ მოძრაობაში „ალ-ქაიდას“ ჩანაცვლება. „ისლამური სახელმწიფოს“ იდეოლოგია ე.წ. სალაფიტურ მოძღვრებას ემყარება. ეს არის ისლამის თითქოსდა კონსერვატიული, მაგრამ იმავდროულად ექტრემისტული ინტერპრეტაცია, ქადაგებს რა რელიგიის სახელით ძალადობას [8. 6]. ამგვარად იკვეთება მთავარი - ისლამური სახელმწიფო გლობალური ტერორიზმის ცენტრი ხდება. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „ისლამური სახელმწიფოს“ მდგომარეობა მყიფეა. მათ არ აქვთ „სახელმწიფოს“ მართვისა და პოლიტიკური მოწყობის რეალისტური გეგმები.

ტერორიზმის საფრთხის არსებობის ეპოქაში ბირთვული ომის რისკი განსაკუთრებით სერიოზულ მუქარად იქცა. ბირთვული იარაღის გავრცელება ახალი მუქარის ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს საერთაშორისო უსაფრთხოებაზე. ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის ეპოქაში კაცობრიობის მომავალი ძლიერ სახელმწიფოთა შორის მშვიდობის შენარჩუნებაზეა დამოკიდებული. არც ერთ სახელმწიფოს არ შეუძლია მარტომ იტვირთოს საკუთარი უსაფრთხოება და დამოუკიდებლობა. ცხადია, საშინელი აჩრდილი თან სდევს კაცობრიობას: ეს შეიძლება იყოს დიქტატორი, რომლის ლოგიკა ბირთვული მუქარის რაციონალურობას არ დაემორჩილება [2. 66]. დღეისათვის მსოფლიოში ბირთვული ენერჯის გამფართოებელ რეგიონად მოაზრება აზია: ჩინეთი - 26 ახალი რეაქტორი, 24 რეაქტორი შენდება; სამხრეთ კორეა - 21 რეაქტორი; ტაივანი - 2 რეაქტორი; ვიეტნამი - 14 რეაქტორი; იაპონია - 55 რეაქტორი. ჯერ კიდევ ცივი ომის პერიოდში ბირთვულმა მუქარამ ამერიკასა და საბჭოთა კავშირს ახალი გავლენის ძიება აიძულა აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნებში, რასაც რეგიონული კონფლიქტების გაღვივება მოჰყვა. ძლიერი სახელმწიფოების არაპირდაპირმა სტრატეგიამ, რომელმაც ცხადი გახადა არაპირდაპირი ფორმით დაპირისპირების უპირატესობა, ბიძგი მისცა მესამე სამყაროს ქვეყნების გადაჭარბებულ შეიარაღებას და ამ უკანასკნელთ შიდა რეპრესიებისათვის მნიშვნელოვანი საშუალებები ჩაუგდო ხელთ. ამ სტრატეგიამ მაგალითად, ლათინურ ამერიკაში სამხედრო რეჟიმების აღზევებას შეუწყო ხელი, რომლებიც თავიანთი დიქტატურის ლეგიტიმაციას „ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინის“ მოშველიებით ახდენდნენ. „ტერორის წონასწორობას“ თან ახლდა ჩვეულებრივი შეიარაღების განუწყვეტელი ზრდა, რამაც დეკოლონიზაციის საზღვრები ხელშეუხებელი, ხელოვნური გახადა. ამიტომაც, ბოლო ათწლეულების მანძილზე განვითარებული კონფლიქტების უმრავლესობამ სამოქალაქო ომებისა და ეთნიკური კონფლიქტების სახე მიიღო [2. 65]. ტერორიზმს ხშირად უწოდებენ სუსტების იარაღს ძლიერთა წინააღმდეგ და უფრო დამახასიათებელია იმ ინდივიდებისათვის და პატარა დაჯგუფებებისათვის, რომლებიც რესურსების ნაკლებობას განიცდიან. ტერაქტების ობიექტი, ჩვეულებრივ, მშვიდობიანი მოსახლეობაა, თუმცა მსოფლიო ისტორიაში არაერთი ფაქტია როცა ტერორიზმის სამიზნე მსოფლიო ლიდერებიც იყვნენ: ეგვიპტის პრეზიდენტი ანვარ

სადათი (1981), ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ინდირა განდი (1984) და მისი შვილი ყოფილი პრემიერ-მინისტრი რაჯივ განდი (1991). ტერორიზმის მსხვერპლი შემთხვევითი სამიზნეებია, თუმცა ეს სამიზნეები იმ ეთნიკურ ჯგუფს, ან სოციალურ წესრიგს განეკუთვნებიან, რომელთა დამარცხებაც სურთ. მკვლელობებითა და დასახიჩრებებით თესვენ პანიკას, რომელიც მოწინააღმდეგის დემორალიზაციისათვის არის გამოიზნული, ამ უკანასკნელისაგან პოლიტიკური სარგებლის მისაღწევად: მაგალითად მოლაპარაკებები სამშვიდობო შეთანხმებაზე ან „საერთაშორისო თანამეგობრობის“ ყურადღების მიპყრობა. მაგალითისათვის შეიძლება მოვიყვანოთ „ისლამური სახელმწიფო“, რომელიც ცნობილი გახდა მასობრივი მკვლელობებით - 2014 წლის აგვისტოში ინტერნეტის ქსელით მასობრივი მკვლელობების ამსახველი კადრები გავრცელდა [8. 4]. ტერორიზმს შეიძლება განსაკუთრებული მიზნებიც ჰქონდეს, მაგალითად დასავლეთის ცივილიზაციის განადგურება. ამერიკული ცხოვრების წესისადმი რელიგიური მტრული განწყობის ექსპლუატაციით და არაბებისა და ისრაელის კონფლიქტიდან სარგებლის ნახვით, ისლამურ ფუნდამენტალიზმს შეუძლია ააფეთქოს რამდენიმე დასავლეთისადმი კეთილგანწყობილი მახლობელი აღმოსავლეთის მთავრობის პოზიციები და საფრთხე შეუქმნას ამერიკის რეგიონალურ ინტერესებს, განსაკუთრებით სპარსეთის ყურის რეგიონში. მაგრამ პოლიტიკური ერთიანობის გარეშე და ჭეშმარიტად მძლავრი ისლამური სახელმწიფოს არარსებობს შემთხვევაში, ისლამური ფუნდამენტალიზმის მხრიდან გამოწვევას გეოპოლიტიკური ბირთვი დააკლდება და აქედან გამომდინარე, ის უფრო ძალმომრეობითი სახით გამოიხატება [9. 86]. დღეს ორგანიზებული ძალადობის ამ ფორმას ძირითადად ისლამისტური ჯგუფები უჭერენ მხარს, რომლებიც ქმედითნი არიან იმდენად, რამდენადაც, ჩაგვრით გამოწვეული დამცირების და სიღარიბის მძაფრი შეგრძნებებით საზრდოობენ [2.70-71]. ცხადია, ტერორიზმისაკენ მიდრეკილი უფრო სუსტი სახელმწიფოებია, რომელთაც არასტაბილური პოლიტიკური სტრუქტურები და დანაწევრებული პოლიტიკური კულტურა აქვთ. მსოფლიოს ღარიბ ქვეყნებში დემოგრაფიულ აფეთქებას და იმავდროულად მოსახლეობის ურბანიზაციას მივყავართ არა მარტო უქონელთა რიცხვის სწრაფ ზრდამდე, არამედ, ძირითადად, იმ მილიონობით უმუშევართა და სულ უფრო უკმაყოფილო ახალგაზრდათა გაჩენამდე, რომელთა იმედების გაცრუება სწრაფი ტემპით იზრდება. კავშირების თანამედროვე საშუალებები ზრდის მათსა და ტრადიციულ ხელისუფლებას შორის დაშორებას და იმავდროულად, სულ უფრო მეტი დონით აყალიბებს მათ ცნობიერებაში მსოფლიოში გამეფებულ უსამართლობის განცდას, რაც შეშფოთებას იწვევს და ამიტომ ისინი ყველაზე მეტად აღიქვამენ ექსტრემიზმის იდეებს და ადვილად ავსებენ ექსტრემისტთა რიგებს. ისეთი მოვლენა, როგორც მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის მიგრაციაა, რომელმაც უკვე მოიცვა ათეულ მილიონობით ადამიანი, შეიძლება გამოყენებულ იქნეს დროებით დამცველ სარქველად, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, ასევე სავარაუდოა იქცეს კონტინენტიდან კონტინენტზე ეთნიკური და სოციალური კონფლიქტების გადატანის საშუალებად [9. 294]. როგორც ვხედავთ, თანამედროვე ტერორიზმი სერიოზული პრობლემაა, საფრთხე უფრო იზრდება: ბირთვული ტერორიზმი უკვე რეალურია. ცხადია, ტერორიზმი და დემოკრატია ერთმანეთის მტრები არიან. დემოკრატიული ქვეყნები გარკვეული სირთულეების წინაშე არიან ტერორიზმთან ბრძოლაში, რადგანაც ერთდროულად უნდა უზრუნველყონ ეროვნული უსაფრთხოების დაცვა და ინდივიდუალური თავისუფლების შენარჩუნება. ტერორიზმის საფრთხე სამოქალაქო თავისუფლებებსა და ინდივიდუალურ უფლებებზე მაღლა წესრიგსა და სახელმწიფო უსაფრთხოებას აყენებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ გლობალური გამოწვევების ერთ-ერთ კომპონენტად განიხილება გლობალური ქსელი - ინტერნეტი და კიბერსივრცეებიდან მომდინარე საფრთხეები: კიბერომი, კიბერშეტევა, ან სხვადასხვა სახის კიბერდანაშაულები, რომლებმაც შესაძლოა სერიოზული საფრთხის წინაშე დააყენოს საერთაშორისო უსაფრთხოება და ქვეყნის სტრატეგიული ინტერესები. ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიები გარკვეულ შესაძლებლობებს აძლევს ავტორიტარულ რეჟიმებს, რეპრესიულ ხელისუფლებას, ტერორისტულ ორგანიზაციებს, კრიმინალურ სამყაროს, მით უფრო დღეს, როცა კიბერ და საინფორმაციო უსაფრთხოების საკითხებმა სპეცილიზირებული კონფერენციებიდან საჯარო პოლიტიკის სფეროში გადაინაცვლა. რუსეთ-უკრაინის კონფლიქტში კიბერთავდასხმების, როგორც ჰიბრიდული ომის შემადგენლის, გამოყენება რუსეთმა და მასთან დაკავშირებულმა ჯგუფებმა ყირიმის ანექსიის მომენტიდან

დაიწყეს, თუმცა ზოგიერთი მონაცემით, კიბერშეტევები ევრომაინდის დროიდან იღებს სათავეს. არსებობს ჰიბრიდული ომის ნიშნები პოლონეთის წინააღმდეგაც. რუსული ჰიბრიდული ომის ტაქტიკა გულისხმობს ენერჯის, როგორც იარაღის, ეკონომიკური ზეწოლის, კორუფციის, შანტაჟის, სადაზვერვო ოპერაციების გამოყენებას ბირთვული ომის ზღვარზე ბალანსირებასთან კომბინაციაში და მოიცავს სპეციალური ძალების, არარეგულარული „პარტიზანული“ ფორმირებების და რეგულარული შეიარაღებული ძალების მხარდაჭერის გამოყენებას. კიბერთავდაცვით სფეროში არსებული სამი უდიდესი მოთამაშისგან (აშშ, რუსეთი, ჩინეთი) კიბერთავდაცვასხმებზე ბრალდება რუსეთის ან ჩინეთის მისამართით ისმის, მაშინ როდესაც ამ ორ სახელმწიფოს შორის კიბერსაფრთხეების სფეროში, რაიმე ხმაურიან ინციდენტს ადგილი არ ჰქონია, რაც ლოგიკურს ხდის მათ ალიანსს. ჩინეთის მხრიდან ორგანიზებული კიბერთავდაცვასხმების სამიზნეს ძირითადად კომერციული საიდუმლო ინფორმაცია წარმოადგენს, ხოლო რუსეთი აქტიურად იყენებს კიბერელემენტს სამხედრო და გეოპოლიტიკური უპირატესობის მოსაპოვებლად [10]. კიბერსივრციდან მომდინარე საფრთხეებს შეუძლიათ სერიოზული ზიანი მიაყენონ ცივილიზებულ სამყაროს, ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფრთხოებას: ბოლო პერიოდის საბრძოლო დაპირისპირებების უმრავლესობას, ლიბიის ომს, ნაწილობრივ სირიის კონფლიქტს ახასიათებდათ კიბერდაპირისპირება, ხოლო კიბერშპიონაჟი და კიბერდივერსიები საერთაშორისო ურთიერთობებს მუდმივ ფონად გასდევს.

როგორც ვხედავთ თანამედროვე მსოფლიოში არსებული გლობალური გამოწვევები სერიოზულ საფრთხეებს ქმნიან. ურთიერთდამოკიდებულების პროცესები შლის საზღვარს საგარეო და საშინაო პოლიტიკას შორის, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ ინტერესებს შორის. სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკა უფრო მჭიდროდ უკავშირდება ერთმანეთს და იწვევს ცვლილებებს უსაფრთხოების სფეროშიც. ეროვნული ინტერესების გათვალისწინება უფრო რთულდება. საერთაშორისო უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები მოითხოვს ახალ, არასამარ მიდგომებს, ცხადია, ომი ქმნის უფრო მეტ პრობლემებს, ვიდრე აგვარებს. კომპლექსური ურთიერთდამოკიდებულების თეორია მოიაზრებს გაცილებით უფრო მშვიდობიან და უსაფრთხო მსოფლიოს. ნაციონალური საზღვრების შეღწევადობამ, რეგიონული ინტეგრაციის მოძრაობებმა, არასამთავრობო აქტორთა გამრავლებამ, საერთაშორისო რეჟიმების მზარდმა როლმა, სახელმწიფოთა გავლენა შეარყია იმგვარად, რომ ეს ფენომენები ეთნიკურ კონფლიქტებს დაემთხვა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. მთავრობებს აღარ აქვთ შიდა პოლიტიკისა და დიპლომატიურ-სტრატეგიული ორიენტაციების სრულად განსაზღვრის შესაძლებლობა. თუმცა გლობალიზაციის შედეგები სახელმწიფოთა ხასიათისა და გარემოებების მიხედვით ბევრად განსხვავდება. ცხადია, გლობალური გამოწვევები სერიოზულ საფრთხეს უქმნის მსოფლიო წესრიგს, მათ შეუძლიათ ზიანი მიაყენონ ცივილიზებულ სამყაროს, ეროვნულ თუ საერთაშორისო უსაფრთხოებას. მნიშვნელოვანია ხაზი გაესვას მსოფლიოში ანარქიის გავრცელების რეალურ შესაძლებლობასაც [9.293]. დემოგრაფიული აფეთქებების, სიღატაკით გამოწვეული მიგრაციის, რადიკალური ურბანიზაციის, ასევე ეთნიკური და რელიგიური მტრობისა და მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელებით მიღებული დამანგრეველი შედეგები შეიძლება იქცეს უმართავად, იმ შემთხვევაშიც, თუ თვით ელემენტარული გეოპოლიტიკური სტაბილურობისას, დაიშლებიან სახელმწიფო ერზე დაყრდნობილი არსებული შინაგანი სტრუქტურები.

გამოყენებული წყაროები:

- [1] Aristotle, The Politics, New York: Oxspord Universitt Press: 1962. 1252b, 5.
- [2] სენარკლენი პ.; არიფენი ი., საერთაშორისო პოლიტიკა, თანამედროვე თეორიები და ამოცანები, თბ., 2014. გვ: 33, 65, 66, 70, 71.
- [3] Цыганков П. А., Теория Международных Отношений, Москва, 2003, ст. 335, 337.
- [4] მაგდშტადტი თ., გავიგოთ პოლიტიკა, იდეები, ინსტიტუტები და პრობლემები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2010. გვ. 517, 519, 521, 522
- [5] ჩიქოვანი ნ., რელიგია და კულტურა სამხრეთ საქართველოში, თბ., 2006. გვ. 23.

- [6] Challenges and Responses to Nuclear Security and Non-Proliferation 2015, Tbilisi International Forum for Regional Stability, Civil Council on defense and Security, Tbilisi, 2015.
- [7] მელიქიძე ვ., მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია, თბ., 2006. გვ. 87.
- [8] სანიკიძე გ., „ისლამური სახელმწიფო“ და „დიდი თამაში“ ახლო აღმოსავლეთში, საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი, თბილისი, 2015. გვ. 4, 5, 6, 8
- [9] ბუეზინსკი ზ., დიდი საჭადრაკო დაფა, გამომცემლობა არტანუჯი, თბ., 2014. გვ. 86, 293, 294
- [10] გოცირიძე ა., პოსტსაბჭოთა სივრცის კონფლიქტების კიბერასპექტები და საქართველო - კიბერელემენტების გამოყენება თანამედროვე კონფლიქტებში, Georgian Review, 06, 2015, <http://georgianreview.ge/2015/06/konfliktebis-kiberaspektebi/?lang=ge>.